

# ბუნებრივი რესურსების არასწორი მართვა იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური ინტერესების შელახვას

ekofact.com/2019/04/02/ბუნებრივი-რესურსების-არა

ekofact

2019 M04 2

## გვანცა გახოკიძე

ენერჯია ადამიანის სიცოცხლისა და განვითარების ძირითადი მამოძრავებელი ძალაა. კაცობრიობას სხვადასხვა სახის ენერჯიის ათვისების გარეშე სრულფასოვნად არსებობა არ შეუძლია. დედამიწაზე ტრადიციული ენერჯეტიკული რესურსების- ნავთობისა და ქვანახშირის დასაზოგად, დაიწყო არატრადიციული, განახლებადი ენერჯიის ეფექტურად გამოყენების საშუალებების ძიება. განახლებად წყაროებს



შორის ერთ-ერთი წყლის ენერჯია. ადამიანებმა, დიდი ხნის წინ, დაიწყეს წყლის ენერჯიის გამოყენება მექანიკური ენერჯიის მისაღებად. ჰერ კიდევ, მე-19 საუკუნის დასაწყისში, ელექტროგენერატორი გამოიგონეს, რომელიც ელექტროენერჯიას გამოიმუშავებდა.

ენერჯიის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს ჰესები, მათ სხვადასხვა კონფიგურაცია აქვთ, რაც დამოკიდებულია ადგილობრივ პირობებზე. დიდ ჰიდროელექტროსადგურებთან ერთად, თავისი ადგილი დაიმკვიდრეს მიკრო, მინი და მცირე ჰიდროელექტროსადგურებმაც. მცირე ჰიდროელექტრო სადგურს ბევრი უპირატესობა გააჩნია, მაგალითად – საკუთარი ენერჯიის განახლებადი წყაროს გამოყენებით სოფლის განვითარება, ადგილობრივი მუშა ხელის დასაქმება და ახალი საწარმოების შექმნა.

საქართველოს მაღალმთიანი რეგიონებისთვის დამახასიათებელია დერივაციული ჰესები. აქ პირველი ჰიდროელექტრო სადგური, დაახლოებით 100 წლის წინ, ბორჯომში აშენდა. 1930-1950 წლებში, 450-მდე მცირე სადგური მუშაობდა, ხოლო 1980 წელს ეს რიცხვი 44-მდე შემცირდა. საქართველოში ჰესებს მიეკუთვნება სადგურები, რომელთა სიმძლავრე არ აღემატება 13 მგვტ-ს. ჰიდროენერჯეტიკული რესურსებით მდიდარ საქართველოში, შესაძლოა 1200-ზე მეტი მცირე ჰიდროელექტროსადგური აშენდეს.

„ჰიდროენერჯიის მიღების მექანიზმი შემდეგ პრინციპს ემსახურება: წყალი ამოძრავებს ტურბინებს, რომელთა მექანიკურ ენერჯიას ელექტროენერჯიად გარდაქმნის. დიდი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები იყენებენ წყალსაცავებს. წყალსაცავში დიდი რაოდენობით წყალია დაგროვებული, წყალსაცავის ფსკერთან ახლოს არის წლის გამოსაშვები არხი, სადაც წყალი დიდი სიმძლავრით მიედინება და ამოძრავებს ტურბინას,“ – ვკითხულობთ „ენერჯიის განახლებადი წყაროები და ენერჯოეფექტურობის მხოფლიო გამოცდილებაში.“

ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ტექნოლოგია მარტივი და ცნობილია, თუმცა ტექნოლოგიური გამოწვევები არ არის ჰიდროენერჯისთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემა. ბუნებრივი რესურსების არასწორი მართვა იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური ინტერესების შელახვასა და გარემოს დეგრადაციას. სოციალურ ინტერესების შელახვაში იგულისხმება, როგორც საკუთრების უფლებების შელახვა, ისე საბინადრო გარემოს გაუარესება. ამასთანავე, ბუნებრივი რესურსების არასწორი მართვა და არარაციონალური გამოყენება იწვევს მათ სწრაფად გამოლევისა და აძლიერებს ბუნებრივი კატასტროფების რისკს. ეს, საბოლოო ჯამში, იწვევს ბუნებრივ რესურსებზე და ეკოსისტემურ სერვისებზე დამოკიდებული ადგილობრივი მოსახლეობის, კიდევ უფრო გაღარიბებას და ზრდის სოციალურ დაძაბულობას, – ამბობენ გარემოსდამცველები.

განვითარების პროექტები, ხშირად, ადგილობრივი მოსახლეობის იძულებით განსახლებასაც კი იწვევს. ამ პროცესს, როგორც წესი, მოჰყვება ადგილობრივი წარმოების სისტემების მოშლა, საქმიანობისა და შემოსავლის წყაროების გაქრობა, სათემო სტრუქტურისა და სოციალური ქსელის შესუსტება. ადამიანები შესაძლოა აღმოჩნდნენ ისეთ გარემოში, სადაც ნაკლები რესურსი მოიპოვება, ამ მათი სოციალური და პროდუქტიული უნარები ნაკლებად გამოყენებადია. შორს რომ არ წავიდეთ, ამის მაგალითია ჟინვალჰესი, მის აშენებას რამდენიმე სოფელი შეეწირა.

საქართველოში მოქმედი ჰესების რაოდენობა მწირი არ არის, თუმცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო გეგმავს კიდევ 106 ჰესის აშენებას.

გუდამაყარსის ხეობაში, შავ არაგვზე, კიდევ ორი ჰესის მშენებლობა-„შავი არაგვი“ და „შავი არაგვი 1“ იგეგმებოდა, რომელსაც შპს „სოლოენერჯი“ ახორციელებდა. ორივე ჰესის მშენებლობა მდინარე არაგვის ბუნებრივი კალაპოტიდან მილებში გატარებას ითვალისწინებს, რაც იმას ნიშნავს, რომ აშენდებოდა დერეფაციული ტიპის ჰესი. ამასთან დაკავშირებით, ადგილობრივი მოსახლეობა პროტესტს აცხადებდა მშენებლობის წინააღმდეგ. ისინი თვლიდნენ, რომ გუდამაყარში ჰესის მშენებლობა გამოიწვევდა იძულებით მიგრაციას, ტურისტული ზონის გაქრობასა და გარემოს დამახინჯებას. ჰესების წინააღმდეგ შედგენილმა პეტიციამ, 5-6 დღეში 5000 ხელმოწერა შეაგროვა.

მოგვიანებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მიიღო ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება.

ჰიდროელექტროსადგურების სარგებელზე საუბრისას, პირველი სარგებელი, რაც მის ინვესტორებისთვის გამამართლებელია – ეს არის დასაქმება. მშენებლობის პროცესში საჭიროა ძალიან ბევრი ადამიანი. იქმნება დაბალანაზღაურებადი და დროებითი სამუშაო ადგილები. უკვე ექსპლუატაციის დროს ჰესებზე საქმდება მინიმალური ადამიანი, რადგან ამისათვის მაღალი ექსპერტული ცოდნაა საჭირო და ისედაც ყველაფერი კომპიუტერიზირებულია.

„მოსახლეობის დასაქმება ცინიკურია, მათ არ აქვთ ის ცოდნა, რაც ჰესების მუშაობას სჭირდება. კონტრაქტორი და ქვეკონტრაქტორი გუნდით მოდის და თავისი ხალხი ჰყავს. ფარავანჰესსზე 590 ადამიანი თუ მუშაობდა 500 თურქი და 90 ქართველი იყო. ერთი ოჯახიდან ერთი ადამიანი სამი თვე მუშაობდა, მერე უშვებდნენ და მეზობელს ასაქმებდნენ.

ამ მოკლევადიან ჩანაცვლებით სამუშაოს ეძახიან დასაქმებას," – ამბობს დავით ჭიპაშვილი, მწვანე ალტერნატივის წარმომადგენელი და ჰესების სარგებელსა თუ ზიანზე გვესაუბრება, – „ყველა საქმიანობას გარკვეული უარყოფითი ზემოქმედება აქვს. როდესაც საუბარი ჰიდროელექტროსადგურზეა, საუბარს ვინცებთ არის თუ არის შეფასებული სარგებელთან ერთად, რა ზიანს მიაყენებს ობიექტი გარემოს. ამის შეფასება ხდება დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზით ქვეყნისათვის და არა ინვესტორისთვის. შეფასება ჩვეულებრივი მომენტი ნებისმიერი პროექტისთვის. გარემოს ზემოქმედების კოდექსში ერთერთი მოთხოვნაა სარგებლისა და დანახარჯის შეპირისპირება. ნებისმიერი პროექტის ანგარიშის ალწერაში რომ ჩავიხედოთ, ასეთი შეფასება ან არ არის, ან გაუგებრადაა და რეალური რიცხვები არ ჩანს. რაც შეეხება, პროექტების მიზანშეწონილებას, რამდენად აწყობს ქვეყანას და რამდენად საჭიროა ჰიდროელექტროსექტორის განვითარება, ეს შეფასებები არ კეთდება," – ამბობს ის.

ქვეყანამ უნდა იცოდეს რა არის მისთვის ენერჯო დამოკიდებულება. რატომ იზრდება ელექტრო ენერჯის მოხმარება ქვეყანაში?! ამაზე პასუხი არავის აქვს. უღირს ქვეყანას ასეთი მიმართულებით განვითარება?! სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ენერჯეტიკის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რიმელიც დაეყრდნობა მოხმარების ანალიზს.

„ენერჯიაზე საუბრისას, ყველას წარმოუდგენია მხოლოდ ელექტროენერჯია. მაგრამ საქართველოში გათბობისთვის მოიხმარენ ან ბუნებრივ აირს ან შეშას. ძალიან ცოტა თბება ელექტროენერჯით, რადგან ეს ძვირი სიამოვნებაა. აქედან გამომდინარე, რა უნდა ვუყოთ ამდენ დენს? ჩვენს რეგიონში არსებული ფასების გამო, ექსპორტზე ვერ გავიტანთ. საქართველოს ყველაზე მაღალი ტარიფი აქვს. თურქეთში ექსპორტი ფინანსურ ბარალს მოუტანს ქვეყანას. განცხადებები, რომლებიც კეთდება ჰესების ენერჯოდამოკიდებლობაზე არასწორია!

კრიზისის მიუხედავად, ენგურჰესის გამომუშავებული ელექტროენერჯია, აფხაზეთში სრულიად უფასოდ მიდის.

რაც შეეხება ელექტროენერჯეტიკის პროცენტს, ჭიპაშვილის თქმით, ზამთარში დენი გვაკლდება და ამის მიზეზია, რომ ჩვენს მდინარეებში არ არის წყალი და შესაბამისად ჰესების გამომუშავება იკლებს, – მაშინ როცა გაზაფხულიდან იმდენი დენი ინარმოება, ხდება წყლის დაღვრა, იმიტომ რომ მდინარე სავსეა. სახელმწიფომ უნდა იფიქროს ზამთრის დეფიციტის აღმოფხვრაზე. ქარის სადგური გაცილებით უკეთ მუშაობს ზამთარში, ვიდრე ახალაშენებული ჰიდროელექტროსადგურები. ისეთ ობიექტებზე უნდა ვიფიქროთ, რაც ზამთრის დეფიციტის დროს იქნება მოხმარებადი.